კომპენსაციის სტანდარტი ინვესტორის ქონების უკანონო ექსპროპრიაციის დროს

ნინო შანავა

სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო ბიზნეს სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოჩა გოგიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესით.

ნინო შანავა

2023

სარჩევი

აბსტრაქტი 1

შესავალი 3

ლიტერატურის მიმოხილვა 5

კვლევის მეთოდოლოგია 7

ნაწილი I 9

ინვესტორის სტატუსი და მისი განსაზღვრის მნიშვნელობა 9

ინვესტორის განმარტება საერთაშორისო სამეცნიერო წყაროებში 11

ნაწილი II 13

ექსპროპრიაცია 13

ინვესტორის ქონების კანონიერი და უკანონო ექსპროპრიაცია 16

ანაზღაურების ფორმები ექსპროპრიაციის დროს: რესტიტუცია, კომპენსაცია, დაკმაყოფილება 21

კომპენსაციასთან დაკავშირებული პრობლემები 23

ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები ბენეფიციარ სახელმწიფოში 26

შეფასების მეთოდები ექსპროპრიაციის დროს 27

რეგულაცია 2019/452 ევროკავშირში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სკრინინგის შესახებ 32

შედეგები და მათი ინტერპრეტაცია 34

დასკვნა 36

ბიბლიოგრაფია 38

აბსტრაქტი

არახალია ის ფაქტი, რომ ინვესტიციები ქმნიან ამა თუ იმ ქვეყნის სტაბილურ ეკონომიკას, ზრდიან სოციალურ აქტივობებს და აქვთ დადებითი ეფექტი ქვეყნის განვითარებაში. როგორც ინვესტიციის ბენეფიციარ ქვეყანაში ისე, სხვადასხვა ქვეყნებს შორის იზრდება კონკურენტუნარიანობა ახალი საექსპორტო ბაზრების გახსნით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, ინოვაციების დანერგვით, ტექნოლოგიური ცვლილებებითა და სხვ. ეს შეეხება როგორც განვითარებად ქვეყნებს ისე, განვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს. შესაბამისად, ინვესტიციის განხორციელებისადმი ინტერესი არის ორმხრივი- როგორც მისი ბენეფიციარი სახელმწიფოსთვის ისე, თავად ინვესტორისთვის. ორმხრივ ურთიერთობებში კი, ყურადღების ღირსია თითოეული მხარის ინტერესები, მათი მიზნების რეალიზება და საბოლოო შედეგის მიღწევა. მართალია, თითოეულ მხარეს ხშირად აქვს განცდა, რომ მათი ინტერესები არის უგულებელყოფილი ან, თითქოს, მხოლოდ მათ უწევთ გარკვეული ვალდებულებების შესრულება, ან კიდევ, არიან მათი რესურსის ბოროტად გამოყენების საფრთხის წინაშე, თუმცა, წინამდებარე ნაშრომი წარმოაჩენს, რომ როგორც ინვესტიციის ბენეფიციარ სახელმწიფოს გააჩნია გარკვეულ საკითხებზე განსაკუთრებული მტკიცების ტვირთი ისე, ინვესტორს გააჩნია ვალდებულებები, რომელთა გააზრებაც მათ საწყის ეტაპზევე აარიდებს თავიდან მოსალოდნელ უკმაყოფილებებს თუ დავას.

არაერთი ცვლილება განიცადა ევროკავშირის კანონმდებლობამ, მიდგომებმა იმის შესახებ თუ როგორ უნდა იქნას დაცული და რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება მაშინ, როდესაც საკითხი შეეხება ინვესტორის ქონების ექსპროპრიაციას და არაერთი ნაშრომის კვლევის საგანი გამხდარა აღნიშნული საკითხი. საკითხის აქტუალობა კვლავაც დგას რამეთუ, 2021-2022 წლებში ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეეხება და სხვაგვარად ავითარებს ევროკავშირში საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკას. აღნიშნული ცვლილებებით, რეფორმის ფარგლებში ექცევა ინვესტიციის დაცვის საკითხები, ჩანაცვლდა ინვესტორს და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის მექანიზმი (ISDS) საინვესტიციო სასამართლო სისტემით (ICS), დაიწყო მრავალმხრივი მოლაპარაკებები საინვესტიციო სასამართლოზე, შეთავაზებულ იქნა კანონმდებლობა უცხოური სუბსიდიების რეგულაციის შესახებ და მიღებულ იქნა რეგულაცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სკრინინგისთვის, შემოწმებისთვის. ის, თუ როგორ რეალიზდება აღნიშნული ცვლილებები პრაქტიკაში და როგორ განვითარდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების შიდა მიდგომები, სავარაუდოა, რომ ამას წინამდებარე ნაშრომის შემდგომ შექმნილი სხვადასხვა ნაშრომი წარმოაჩენს, რადგან ცვლილებათა სიახლიდან გამომდინარე,

მოცემული ნაშრომი შეეხება უშუალოდ განხორციელებულ ცვლილებებს, მათ თეორიულ შეფასებას ან/და შედარებას იმასთან თუ რა იყო უწინ.

ცვლილებათა მოცულობიდან და სიღრმიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილდება მხოლოდ საკვანძო საკითხებზე. კერძოდ, განხილულ იქნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოწმების საკითხები და მასზე მიღებული შესაბამისი დოკუმენტი. თუმცა, მანამდე შეფასდება ინვესტორის სტატუსის განმარტების და ზუსტი იდენტიფიკაციის მნიშვნელობა როგორც კანონმდებლობაში ისე, პრაქტიკაში, რაც საბოლოო ჯამში, კავშირშია ინვესტორის დაცვის მექანიზმებთან, გამოკვლეული და გაანალიზებული იქნება რამდენიმე მნიშნელოვანი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ევროკავშირში საინვესტიციო სამართალს. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კომპენსაციის სტანდარტის საკითხს ევროკავშირის ქვეყნებში, ინვესტორის ქონების უკანონო ექსპროპრიაციის დროს და კომპენსაციასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინვესტიცია, ინვესტორი, ექსპროპრიაცია, კომპენსაცია, ევროკავშირის რეგულაციები.